


# ახლად აღმოჩენილი სასანური ბულა სამშვილდედან დავით ბერიკაშვილი



თბილისი 2018



სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია  
საქართველოს უნივერსიტეტი

# ახლად აღმოჩენილი სასანური ბულა სამშვილდედან

დავით ბერიკაშვილი

არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ხელოვნების დეპარტამენტი.  
საქართველოს უნივერსიტეტი. კოსტავას 77. თბილისი.  
d.berikashvili@yahoo.com

## საკვანძო სიტყვები

სამშვილდე, სამშვილდის არქეოლოგია, სასანიანები კავკასიაში, ირანული ბულა, სასანური გავლენა კავკასიაში...

## მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

სამშვილდე საქართველოს სამხრეთ ნაწილში, ისტორიულ ქვემო ქართლში მდებარე ერთერთ უმნიშვნელოვანეს მრავალფენიან არქეოლოგიურ კომპლექსს წარმოადგენს. იგი განლაგებულია მდინარეების ხრამისა და ჭივჭავის შესართავთან წარმოქმნილ ბაზალტოვან კონცხზე, რომელსაც შუა საუკუნეების ქალაქისათვის ძალზედ ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა (სურ.1).



სურ. 1. სამშვილდის კონცხი. აეროფოტო

მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ისტორიული „აბრეშუმის გზის“ სიახლოვემ თავიდანვე განაპირობა ქალაქის სწრაფი აღმავლობა, ხოლო სხვადასხვა

ეთნიკური ჯგუფისა და კულტურების შეხვედრამ კი განაპირობა სამშვილდის მულტიკულტურული ხასიათი [ქუთათელაძე 2001].

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით სამშვილდის საერისთაოს დაარსება მეფე ფარნავაზთან არის ასოცირებული, თუმცა, როგორც ბოლო დროინდელი არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს, სამშვილდე და მისი მიდამოები ადამიანს ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში აუთვისებია [გრიგოლია., ბერიკაშვილი. 2018. 87]. ამავე დროს, ახალი ისტორიული, პალეოგრაფიული, ეპიგრაფიკული და ლინგვისტური მონაცემების გათვალისწინებით დგინდება, რომ სამშვილდის მძლავრ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრად ფორმირება, ადრეულ შუა საუკუნეებში, კერძოდ კი, კავკასიაში სასანური ირანის გავლენების გაძლიერების შედეგად უნდა მომხდარიყო [სანაძე 2016. 256].

მერვე საუკუნის შუა ხანებიდან, არაბების ამიერკავკასიაში გამოჩენასთან ერთად რეგიონში ვითარება მკვეთრად იცვლება და აღმოსვლეთ საქართველო მთლიანად არაბი ამირას გავლენის ქვეშ ექცევა. ასეთი ვითარება გაგრძელდა მეცხრე საუკუნემდე, როდესაც არაბებს, გაძლიერებული ანისის სამეფოს ხელისუფალნი ცვლიან და სამშვილდეც, სომეხ ბაგრატუნ-კვირიკიანთა დინასტიას ექვემდებარება [ქუთათელაძე 2001. 87]. მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებში, მეფე ბაგრატ IV-მ დაამარცხა კვირიკიანთა დინასტიის მესამე წარმომადგენელი კვირიკე II და სამშვილდე და ზოგადად, „ტაშირ-მორაკეტი“, კვლავაც საქართველოს ხელისუფლებას დაუქვემდებარა. 1110 წელს, კი მას შემდეგ ქალაქი დავით აღმაშენებელმა სელჩუკებისთან გაანთავისუფლა, სამშვილდე საბოლოოდ მოექცა საქართველოს ერთიანი სამეფო იურისპრუდენციის გავლენის ქვეშ [ქუთათელაძე 2001. 137].

გვიანდელ შუა საუკუნეებში სამშვილდეში უპირატესობის მოსაპოვებლად ერთმანეთს ქართული ფეოდალური საგვარეულოს სხვადასხვა წარმომადგენლები უპირისპირდებიან. მე-15 საუკუნიდან აქ ორბელთა სახლის წარმომადგენლები სხედან, ამავე საუკუნის ბოლოდან, კი მათ ბარათაშვილ-ყაფლანიშვილები ენაცვლებიან, რომლებიც უპირატესობას მე-17-18 საუკუნეებამდე ინარჩუნებენ [კლიმიაშვილი 1964].

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან სამშვილდისა და ზოგადად, ქვემო ქართლის ეთნიკური სურათი სწრაფად და მნიშვნელოვნად იცვლება. ამავე საუკუნის დასასრულიდან ამ ადგილებში ახლად მოსული სომხური, თურქულ-ენოვანი, გერმანული და ბერძნული ეთნიკური ჯგუფები სახლდებიან [კლიმიაშვილი 1964]. ამგვარ სოციალურ და ეთნიკური ცვლილებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს რუსეთის იმპერიული ხელისუფლება, რომელსაც რეგიონის მიმართ საკუთარი მიზნები და ჩანაფიქრები გააჩნდა. ქვემო ქართლი დღესაც, ამგვარ, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონად რჩება.

#### არქეოლოგიური მიმოხილვა

ეს მცირე ისტორიული მიმოხილვაც კი ცხადყოფს, რომ სამშვილდე ისტორიული, არქეოლოგიური და კულტურული თვალსაზრისით ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. თუმცა, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, მისი ფართო მასშტაბიანი

არქეოლოგიური და ინტერდისციპლინური კვლევები დღემდე არ ჩატარებულა. ის მცირე მოცულობის სამუშაოები კი, რომლებიც საბჭოთა [ჭილაშვილი 1970; გრიგოლია., ჯღამაია 1970] და პოსტ-საბჭოთა პერიოდში [ბახტაძე 2007] განხორციელდა, ვერ ქმნის ძეგლის შესახებ საერთო სურათს და კითხვებს სტრატეგიაფიის, ქრონოლოგიისა და ისტორიული საკითხების შესახებ კვლავაც პასუხაუცემელს ტოვებს.

ასეთი ვითარება გრძელდებოდა 2012 წლამდე, როდესაც საქართველოს უნივერსიტეტმა წამოაყენა გრძელვადიანი პროექტი „სამშვილდე“, რაც მიზნად ისახავს ძეგლის სტაბილურ, მრავალწლიან და ინტერდისციპლინურ კვლევებს. სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც ამავე უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ნაქალაქარის ინტერდისციპლინურ კვლევებს უკვე მეექვსე წელია თანმიმდევრულად ანხორციელებს.

დღეისათვის კვლევები მიმდინარეობს სამშვილდის ორ უბანზე, ძირითადი საფორთიფიკაციო ნაგებობის, ე.წ. ციტადელის შიდა ეზოში (სურ.2) და „სიონის უბანზე“, ადგილზე, რომელიც სამშვილდის სიონის მიმდებარედ მდებარეობს (სურ.3).




სურ. 2. სამშვილდის ციტადელი. აეროფოტო. ხედი დასავლეთიდან

ციტადელში მიმდინარე გათხრების შედეგად გამოვლენილია მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც არქეოლოგიური მასალის მიხედვით მე-11-13 საუკუნეებს განეკუთვნება. მონაპოვარი წარმოდგენილია კერამიკის, მინის, ლითონისა და ქვის არტეფაქტებით, არის ასევე, ნუმისმატიკური მასალაც რაც შესწავლის პროცესშია და ცალკე სტატიის სახით

გამოქვეყნდება<sup>1</sup>. აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლების გათხრებმა განვითარებული შუა საუკუნეების ფენების ქვეშ მდებარე ორმოებში შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტები დააფიქსირა, რაც ამ ადგილზე შუა საუკუნეებზე ადრეული ხანის სამოსახლოს ან სამაროვნის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს [ბერიკაშვილი 2018; გაბელაია 2018].

ასევე საინტერსო შედეგები ჰქონდა გათხრებს სიონის უბანზე, სადაც ტაძრის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით სამი თხრილის კვლევა მიმდინარეობს. კორდოვანი ფენის ქვეშ განვითარებული შუა საუკუნეების ფენა და სავარაუდოდ, მე-9-10 საუკუნეების ინფრასტრუქტურის ფრაგმენტები დაფიქსირდა [ბერიკაშვილი 2017]. აღსანიშნავია, რომ გათხრებმა ამავე უბანზე გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდის სამაროვანი დაადასტურა [Berikashvili; Coupal. 2018]. სამარხები ჩაჭრილია განვითარებული შუა საუკუნეების ფენაში და სავარაუდოდ, სამშვილდეში ერთერთი შემოსევის დროს (ჯაჰან-შაჰის შემოსევა 1440 წ. ?) დახოცილ მოქალაქეებს უნდა ეკუთვნოდეთ [ბერიკაშვილი 2017].



სურ. 3. სიონის უბანი. სიონის ტაძრის მიმდებარედ არსებული თხრილები

უნდა აღინიშნოს ისეც, რომ სამშვილდეში სისტემატიური გათხრების პარალელურად, პერმანენტულად ხორციელდება სადაზვერვო სამუშაოები როგორც ინტერდისციპლინური მეთოდების, ასევე, ტრადიციული, შურფების გამოყენებით. შედეგად, როგორც შესავალ ნაწილში იყო აღნიშნული, დგინდება, რომ ადამიანს სამშვილდის კონცხი და მიმდებარე ტერიტორია ჯერ კიდევ ქვის ხანაში აუთვისებია.

<sup>1</sup> სამშვილდის ნუმისმატიკურ მასალას იკვლევს ნუმისმატი მაია პატარიძე

უკანასკნელმა კვლევებმა, ფაქტიურად, სამშვილდის ისტორიაში დღემდე უცნობი კულტურული პლასტი დააფიქსირა, რომლიდანაც მომდინარე მასალა ნეოლითისათვის დამახასიათებელი საჭრისებით, წვეტანებით, დაკბილური ნამგლის ჩასართებით, ისრისპირებითა და სხვ. წარმოსდგება. მათი კულტურული კუთვნილება ეჭვს არ იწვევს და ყველაზე მეტ სიახლოვეს ისენი ე.წ. წოფი-სიონის წრეში შემავალი ძეგლებიდან მომდინარე მასალებთან იჩენენ [გრიგოლია; ბერიკაშვილი 2018].

თუმცა, ბოლო ხანების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად სამშვილდეში სასანური პერიოდის ბიტუმის ბულის აღმოჩენა ითვლება, რომელიც ირანულ სამყაროსა და იბერიის მჭიდრო პოლიტიკურ კავშირებს კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე, დოკუმენტურად ხდის თვალსაჩინოს. აღმოჩენა გაკეთდა 2016 წელს, სიონის უბნის O17 თხრილში, მიწის ზედაპირიდან 0.90 მ სიღრმეზე, ტაძრიდან 15 მეტრის მოშორებით (სურ.4).



*სურ.4. სიონის უბანი. თხრილი O17.*

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თხრილის კვლევის დროს ადრეული შუა საუკუნეების უძრავი პლასტები არ დაფიქსირებულა. კულტურული ფენა მთლიანად განვითარებული პერიოდის არქეოლოგიურ მასალას შეიცავდა. ასეთ ვითარებაში, სასანური ბულას აღმოჩენა ამ ადგილზე, ძველად, ადრეული შუა საუკუნეების ფენის/ფენების არსებობაზე მიუთითებს, რომლებიც სავარაუდოდ, სიონის ტაძრის მშენებლობისა და ფუნქციონირების დროს განადგურებულია.

#### ბულა სამშვილდედან და მისი პარალელები

როგორც აღინიშნა, სიონის უბნის O17 თხრილში აღმოჩენილი ბიტუმის ბულა (D-3.37სმ) ექსპედიციის ერთერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს (სურ.5). მიუხედავად

იმისა, რომ იგი თანადროულ არქეოლოგიურ კონტექსტში არ არის ნაპოვნი, მაინც აშკარად ავლენს კავშირს ირანულ, კერძოდ კი, სასანურ კულტურასთან. მას ზედაპირზე რელიეფური საბეჭდავის ორი ტვიფრი აზის, ხოლო ზურგის მხარეს კარგად ეტყობა თითის ანაბეჭდები და გამჭოლი ნახვრეტი - დოკუმენტზე თასმით მისამაგრებლად. ზედაპირზე არსებული ანაბეჭდები წრიული ფორმისაა, მათგან ერთ-ერთი, ცოტა უფრო მოზრდილი, ცენტრალურ ნაწილშია ჩაბეჭდილი, მეორე კი - შედარებით პატარა, ბულის თითქმის ნაპირზე ზის. ეს უკანასკნელი მთლიანად გადაშლილია და არ იკითხება, ამიტომ ფოკუსირება ცენტრალურ ნაწილში არსებულ გამოსახულებაზე მოვახდინეთ.




სურ. 5. ბულა სამშვილდედან

აქ აშკარად მოჩანს მხედრი, მას ხელში მარცხენა მხარეს მიმართული შუბი უჭირავს. იგი ამხედრებულია ცხენზე, რომელსაც ერთი ფეხი მუხლში მოხრილი და აწეული აქვს. სამწუხაროდ, ბუნდოვანია გამოსახულების ირგვლივ არსებული წარწერაც, რომელიც, ბიტუმის ფიზიკური თვისებებიდან (სირბილე, ელასტიურობა) გამომდინარე ასევე, დეფორმირებული და გადაშლილია.

უნდა აღინიშნოს, რომ ირანული ბულის აღმოჩენა სამშვილდეში, საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის ნივთების პოვნის პირველი შემთხვევა არ არის. პირველად ამგვარი მასალა აღმოჩნდა ურბნისში, 1955 წელს, აკად. ლ. ჭილაშვილის მიერ წარმოებული გათხრების დროს [ჭილაშვილი 1964. ტაბ. XXVI. 5]. მეორედ კი უფლისციხის არქეოლოგიური გათხრების დროს [ხახუტაიშვილი 1964. 83-84]. აღსანიშნავია, რომ კიდევ

ერთი აღმოჩენა მოხდა 2017 წელს, ძალისაში, არქეოლოგ გ. ნარიმანიშვილის მიერ. ძალისას ბულა ამჯერად კვლევის პროცესშია და შედეგები უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება<sup>2</sup>.

როგორც ითქვა, სამშვილდის ბულას ზედაპირზე ორი ანაბეჭდი აზის. მათ შორი ერთ-ერთი, ცენტრალურ ნაწილში მოთავსებული, უფრო მოზრდილია ვიდრე მეორე. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ერთი და იგივე ბულაზე არსებული ანაბეჭდების ზომათა სხვაობა დამახასიათებელია სასანური ბულებისათვის [Akhbardazeh; Daryaei 2012]. ასევე ცალსახად სასანური კულტურისათვის დამახასიათებელი მოტივია შუბოსანი მხედრისა და ცხენის გამოსახულება, რომელსაც ერთი ფეხი მოზრილი და აწეული აქვს. მსგავსი ტიპის გამოსახულებებს ვხვდებით არა მარტო საბეჭდავებსა და ბულებზე, არამედ აკლდამების შემამკობელ კლდოვან რელიეფებსა და ბარელიეფებზე ირანის ცნობილ ძეგლებზე (სურ.6)



სურ.6. 1.სასანური რელიეფით შემკული აქემენიდური სამარხი. ნაქშ-ე-რუსტამი. პერსეპოლისი. ირანი. 2. ცხენზე ამხედრებული მხედარი ხელში შუბით. სასანური პერიოდის ბარელიეფი თაღ-ი ბუსტანიდან. ირანი. 3.კლდოვანი რელიეფის გრაფიკული ასლი თანგ-ე სარვაკიდან. ხუზისტანის პროვინცია. ირანი. 4. სამშვილდის ბულაზე არსებული გამოსახულების გრაფიკული ჩანახატი.


ყველაზე ცნობილი რელიეფური გამოსახულებები ცნობილია ხუზისტანის პროვინციაში, თანგ-ე სარვაკის ბარელიეფებზე [Eric De Waele, 1974. 256-62], ბიჰისტუნის კლდოვან რელიეფებზე, ქერმანის პროვინციაში [Canepa, Matthew P. 2014]; თან-გაბის რელიეფებზე ფარსის პროვინციაში [Levit-Tawil. 1993] მე-5 საუკუნით დათარიღებულ კლდოვან რელიეფებზე ნაქშ-ე რუსტამიდან [Herrmann, G. & Curtis, V. S. 2003; Canepa,

<sup>2</sup> მადლობას მოვახსენებთ ბ-ნ გ. ნარიმანიშვილს მოწოდებული ინფორმაციისათვის

Matthew P. 2014. 53] და სხვ. გარდა ამისა კლდოვანი რელიეფები შუბოსანი მხედრის გამოსახულებებით, კარგადაა ცნობილია რეიდან და თალ-ი ბუსტანიდან - თეირანის სამხრეთ რაიონები [Nicolle. 2017. photo 8a-i];

ასევე უნდა აღინიშნოს სირიის ცნობილი ძეგლი, დურა ევროპუსი, სადაც სასანური კულტურის გავლენით შესრულებულ კედლის მხატვრობაში, წამყვანი მოტივი სწორედ, მარცხნივ მიმართული, შუბით შეიარაღებული, ცხენზე ამხედრებული მხედრის გამოსახულებაა [Gutmann. 1988. 25-29].

მართალია სამშვილდურ ბულას ანალოგი საქართველოს ტერიტორიაზე არ გააჩნია, მაგრამ მისი პარალებები დიდი რაოდენობითაა ცნობილი საკუთრივ ირანიდან და ზოგადად, სასანური სამყაროდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ირანის ეროვნულ მუზეუმში დაცული მეჰრაბადის, სუზისა და ქაბუდანის კოლექციები, სადაც ერთიანდება თიხისა და ბიტუმის ბულები სხვადასხვა ტიპის ანაბეჭდებითა და გამოსახულებებით (სურ.7)<sup>3</sup>.



სურ. 7. 1,2. თიხის ბულა, მეჰრაბადის კოლექცია. ირანის ეროვნული მუზეუმი. 3,4. ბიტუმის ბულა, სუზის კოლექცია. ირანის ეროვნული მუზეუმი. 5. ბიტუმის ბულა, ქაბუდანის კოლექცია. ირანის ეროვნული მუზეუმი. 6. ბიტუმის ბულა, სამშვილდურ საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიური მუზეუმის კოლექცია.

<sup>3</sup> კიდევ ერთხელ ვუდასტურებთ მადლიერებას ირანის ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს, ბ-ნ ჯაბრაილ ნოუქანდეს, რომელმაც საშუალება მოგვცა გავცნობოდით მუზეუმში დაცულ წინარე ისლამური პერიოდის ბულების კოლექციას.

აღნიშნულ კოლექციებში გაერთიანებული ბულები ძირითადად წინარე ისლამურ პერიოდს, კერძოდ, 5-6 საუკუნეებს განეკუთვნება და წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტების ბეჭედს, რომლებსაც როგორც წესი, მაღალი იერარქიის პოლიტიკური, სასულიერო პირები ან სამხედრო მოსამსახურეები იყენებდნენ [Akhbardazeh. D., Daryae T. 2012].

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტ მსგავსებას სამშვილდურთან ტახტ-ე სოლეიმანის თიხის ბულა იჩენს, სადაც შუბით შეიარაღებული მებრძოლი ამხედრებულია ცხენზე, რომელსაც ორივე წინა ფეხი მოხრილი და აწეული აქვს (სურ.8). რჩება შთაბეჭდილება რომ ცხენი ჭენების პროცესშია, მის წინ კი ნახევარმთვარე და მზეა გამოსახული. ბულები ამგვარი კომპოზიციით მე-6 საუკუნით თარიღდება [Göbl 1976. 29] და სამშვილდის ბულაც, სწორედ ამავე ხანებს უნდა ეკუთვნოდეს. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცენტრალური გამოსახულების ირგვლივ არსებული წარწერა, ნახევარმთვარე და მზე იმდენად გადაშლილი და დაზიანებულია, რომ მათი ამოკითხვა ჭირს, თუმცა მსგავსება ტახტ-ე სოლეიმანის ცალთან მაინც აშკარაა.



სურ.8. 1. თიხის ბულა შეიარაღებული მხედრის გამოსახულებით. მე-6-7 სს. ირანის ეროვნული მუზეუმის კოლექცია 2. სასანური ბულა შეიარაღებული მხედრის გამოსახულებით. მე-5-6 სს. ირანის ეროვნული მუზეუმის კოლექცია 3. სასანური ბულა ტახტ-ე სოლეიმანიდან. მე-6 საუკუნის შუა ხანები (გობლის მიხედვით, 1976, ტაბ. 30, სურ.15) 4. სასანური თიხის ბულა მხედრის გამოსახულებით. მე-4-5 სს. ირანის ეროვნული მუზეუმის კოლექცია. 5. ბიტუმის ბულა მხედრის გამოსახულებით. სამშვილდე მე-5-6 სს.

ცნობილი ირანისტიკისა და სასაზღვრო გლობალიზაციის ერთერთი ყველაზე გამორჩეული მკვლევარის აჰმად ტაფაზოლის მიხედვით, ტახტ-ე სოლეიმანის ტიპის ბულები, ცხენზე ამხედრებული შუბოსანი მხედრისა და მის წინ რელიეფური ტვიფრით გამოყვანილი ნახევარმთვარე/მზის გამოსახულებით, „დაბირთა“ (სპარს. „დიბირ“, არამ. „დპრ“ - „გადაწერი“, „მწიგნობარი“) საბეჭდავებს წარმოადგენდნენ [Tafazzoli, 2000. 18]. აღსანიშნავია, რომ თვითონ ტერმინი „დაბირ“, თავის მხრივ დაკავშირებულია ძველ სპარსული სიტყვის ფუძე - „დიბირ“-თან, რაც როგორც ლინგვისტური კვლევები ადასტურებს მომდინარეობს ელამური ფუძიდან „ტუპ-პი-რა“ („მწერალი“) [Livshits, 1977. 166; Back, 1978. 207].

### დასკვნა

სამშვილდის ბულა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ირანულ ბულებს შორის მეოთხეა. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი დამზადებულია ბიტუმისგან, რაც, როგორც ცნობილია კავკასიაში არ მოიპოვება. მეორე მხრივ კი უხვადაა ირანში. ეს ფაქტი, შემორჩენილ გამოსახულებასთან ერთად, კიდევ ერთხელ ადასტურებს სამშვილდური ბულის ირანში დამზადებას და საქართველოში ოფიციალური ურთიერთობების შედეგად მოხვედრას.

ცხადია, რომ ადრეულ შუასაუკუნეებში სასაზღვრო ირანსა და საქართველოს შორის ურთიერთობები სწორედაც, რომ ოფიციალურ ხასიათს ატარებდა და დარწმუნებული ვართ, მომავალი გათხრები კიდევ მრავლად გამოავლენს არქეოლოგიურ ფაქტებს, რაც ორი ძველი კულტურის მქონე ქვეყნის მჭიდრო ურთიერთობებზე მიუთითებს.

### Bibliography

ბახტაძე (2008).

ბახტაძე ნ. კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში. თბილისი. 2008

ბერიკაშვილი (2017).

ბერიკაშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში (2015-2016 წლების მასალები). *საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა*. თბილისი. 2017

ბერიკაშვილი (2018).

ბერიკაშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში 2017 წელს. „*არქეოლოგია II. საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი*“. თბილისი. 2018

გაბელაია (2018).

გაბელაია ნ. ბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალა სამშვილდის უახლესი გათხრებიდან. *საბაკალავრო ნაშრომი არქეოლოგიაში*. საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი. 2018

გრიგოლია., ჯღამაია (1970).

გრიგოლია გ., ჯღამაია ჯ. პირღებულის მონასტრის ერთი ასომთავრული წარწერა.  
*ძეგლის ძეგობარი. კრბ. 20.* თბილისი. 1970

გრიგოლია., ბერიკაშვილი (2018).

გრიგოლია გ., ბერიკაშვილი დ. ნეოლითური ქვის ინდუსტრია სამშვილდედან.  
*„არქეოლოგია“ II. საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი.* თბილისი.  
2018

კლიმაშვილი (1964)

კლიმაშვილი ა. მასალები XV-XVIII სს ქართლისა და კახეთის სადროშოების  
ისტორიისათვის. თბილისი. 1964.

სანაძე (2016).

სანაძე მ. ქართველთა ცხოვრება. წიგნი III. ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების  
ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). *საქართველოს უნივერსიტეტის  
გამომცემლობა.* თბილისი. 2016

ქუთათელაძე (2001).

ქუთათელაძე ქ. ქვემო ქართლი პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბილისი. 2001

ჭილაშვილი (1970).

ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. II. თბილისი. 1970.

ჭილაშვილი (1964).

ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი. 1964.

ხახუტაიშვილი (1964)

ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე. წიგნი 1. თბილისი. 1964.

Чубинашвили (1969)

Чубинашвили Н. Самшвилдский Сион. (его место в развитии грузинской архитектуры  
VIII-IX вв. 1969.

Akhbardazeh., Cereti., Sinisi. (2005)

Akbarzadeh, D., Cereti, C.G., Sinisi, F. "Preliminary Notes on the Collection of Sasanian Bullae  
held in Khoy," in *Iranian Identity in the Course of History: Proceedings of the Conference Held  
in Rome, 21-24 September 2005.* Roma. 2005

Akhbardazeh., Daryae. (2012)

Akhbardazeh. D., Daryae T. Inscribed Sassanian Bullae at the National Museum of Iran. E-  
Sasanika 12, 2012.

Back (1978).

Back, M. Die sassanidischen Staats-inschriften. *Acta Iranica 18, Troisième série, Textes et mémoires*, v. 8. Tehran and Liège, Brill. 1978

Berikashvili (2018).

Berikashvili, D. Samshvilde: multidisciplinary approaches to a historical city of Transcaucasia. *Oriental and European Archaeology*. Vienna. 2018

Berikashvili., Coupal. (2018)

Berikashvili, D., Coupal, I. The First Evidence of Burials from Samshvilde. A preliminary archaeological and Bioarchaeological Study. *Caucasus Journal of Social Sciences*. Vol.11. Tbilisi. 2018

Bivar (1969)

Bivar, A.D.H. Catalogue of the Western Asiatic Stamp Seals in the British Museum. Stamp Seals II: The Sassanian Dynasty, London. 1969

Callieri (2004)

Callieri, P. Sasanian Glyptics in Caucasian Archaeological Contexts: a Contribution on Problems of Chronology. in: *Atti del Convegno Internazionale "La Persia Bisanzio"*, Roma. 2004

Canepa, Matthew P., (2014). "Topographies of Power, Theorizing the Visual, Spatial and Ritual Contexts of Rock Reliefs in Ancient Iran". Edit by Harmanşah

Callieri, P. (2004). At the root of the Sasanian Royal Imagery: the Persepolis Graffiti in Eran ud Aneran; webfestschif Marshak

Eric De Waele. (1974).

Eric De Waele. "Nouvelle introduction aux reliefs rupestres de Tang-e Sarvak," *Proceedings of the IIInd Annual Symposium on Archaeological Research in Iran*, Tehran.1974

Frye (1968)

Frye, R.N. "Sasanian Seal Inscriptions," *Beiträge zur Alten Geschichte und deren Nachleben, Festschrift für Franz Altheim zum 6.10.1968*.

Frye (1970)

Frye, R.N. "Sassanian Clay Sealings in the Baghdad Museum," *Sumer*, Vol. 26, 1970

Frye (1973)

Frye, R.N. *Sasanian Remains from Qasr-i Abu Nasr*, Cambridge, MA, 1973

Gignoux (1979).

Gignoux, Ph. "Une Bulle sassanide du Musée d'Etat de Tbilissi (Georgie)." In: *Studia Iranica*, T. 8, fasc. 2. Paris. 1979

Gignoux., Gyselen, (1979)

Gignoux, Ph., Gyselen, R. "Sceaux sassanides de la collection M.I. Mochiri. Pad nam i yardän". *Études d'épigraphie, de numismatique et d'histoire d'Iran ancien (Travaux de l'Institut d'Études Iraniennes*, 9. Paris, 1979 pl. I-X)

Göbl (1973)

Göbl, R. *Der Sasanidische Siegelkanon*, Braunschweig. 1973

Göbl (1976).

Göbl, R. Die Tonbullen vom Takht-e Suleiman: Ein Beitrag zur spätsasanidischen Sphragistik. Takht-e Suleiman, Ergebnisse der Ausgrabungen 1. Berlin. 1976

Gropp (1974)

Gropp, G. "Some Sasanian Clay Bullae and Seal Stones," *The American Numismatic Society, Museum Notes* 19, New York. 1974

Gutmann (1988).

Gutmann, J. The Dura Europos Synagogue Paintings and Their Influence on Later Christian and Jewish Art. *Artibus et Historiae* 9'.17. 1988

Herrmann., Curtis. (2003).

Herrmann, G. & Curtis, V. S. "Sasanian Rock Reliefs". *Encyclopedia Iranica*. 2003

Levit-Tawil (1993).

Levit-Tawil, D. Re-dating the Sasanian reliefs at Tang-e Qandil and Barm-e Dilak: composition and style as dating criteria. *Iranica Antiqua* 28, 1993.

Lerner (1977)

Lerner, J. *Christian Seals of the Sasanian Period*, Istanbul.

Livshits, V. A. (1977). "New Parthian Documents from South Turkmenistan," *AAASH* 25. 1977

Lerner., Skjaervo (1997)

Lerner, J., & Skjaervo, P. "Some Uses of Clay Bullae in Sasanian Iran: Bullae in the Rosen and Museum of Arts Collections," *Res Orientales*, Vol. X. 1997

Nicolle (2017)

Nicolle, D. Horse Armour in the Medieval Islamic Middle East. *International Journal of Archaeology and Social Sciences in the Arabian peninsula*. Vol. 8. 2017

Tafazzoli (2000)

Tafazzoli, A. Sasanian Society: Warriors, Scribes, Dehqans (Ehsan Yarshater Distinguished Lectures in Iranian Studies, No. 1, Bibliotheca Persica Press. New York. 2000

